გიორგი ნოზაძე
ნათია კობაძე
სალომე ჩხეიძე
ნინო გვილავა

ტესტები
მათემატიკაში

IV კლასი

I ნაწილი

დიოფანტე
დაწყებითი
სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი	**მაგდა ბარამიძე**
რედაქტორი	**სოლომონ ნოზაძე**
დიზაინერი და ტექნიკური რედაქტორი	**გიორგი ბაგრატიონი**
ყდის დიზაინერი და ილუსტრატორი	**ანა ოსიაშვილი**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025, I გამოცემა

© გიორგი ნოზაძე, ნათია კობიძე, სალომე ჩხეიძე, ნინო გვილავა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-937-8

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი: 2213321

ელფოსტა: adm@diogene.ge

www.diogene.ge

გამარჯობა, მეგობარო!

ეს არის მათემატიკის ტესტების კრებული, რომელიც დაგეხმარება, უკეთ გაიმეორო ნასწავლი მასალა და კიდევ უფრო გაიმყარო ცოდნა.

კრებულში ნახავ როგორც წინა კლასის გასამეორებელ ტესტებს, ისე – შენი კლასის ტესტებს. შეგიძლია საკუთარი ძალები სცადო სხვადასხვა სირთულის ამოცანებში.

ტესტებში შეხვდები ორი ტიპის დავალებას:

არჩევითპასუხიანი – სადაც მოცემული ვარიანტებიდან უნდა აირჩიო სწორი;

მოკლეპასუხიანი – სადაც თავად უნდა ჩაწერო პასუხი.

ზოგიერთ დავალებაში მოგიწევს გამოთვლა, ზოგან – ფიქრი, ზოგან კი უბრალოდ სწორი პასუხის არჩევა.

არ ინერვიულო, თუ ყველა დავალებას პირველივე ჯერზე ვერ გააკეთებ. მთავარია სცადო, იფიქრო და ყოველი ნაბიჯით ისწავლო რაღაც ახალი.

დაიმახსოვრე: შეცდომა არ არის ცუდი – შეცდომა არის გზა სწავლისკენ!
წარმატებებს გისურვებ და გახსოვდეს – მათემატიკა შენი მეგობარია!

სარჩევი

ტესტი 1. გამეორება (რიცხვები და მოქმედებები 1000-ის ჩათვლით) **4**

ტესტი 2. გამეორება (მოქმედებები რიცხვებზე 1000-ის ჩათვლით) **12**

ტესტი 3. გამეორება (მონაცემთა ანალიზი, გეომეტრიული ფიგურები, სიგრძის ერთეულები) **20**

ტესტი 4. რიცხვები 1 000 000-ის ჩათვლით **30**

ტესტი 5. შეკრება-გამოკლება 1 000 000-ის ჩთვლით **38**

ტესტი 6. სიდიდეები, გაზომვა, ზომის ერთეულები **46**

ტესტი 1

გამეორება (რიცხვები და მოქმედებები 1000-ის ჩათვლით)

ვარიანტი 1

1. ჩამოთვლილთაგან რომელია „ას ორმოცდათექვსმეტი“?

ა) 140

ბ) 156

გ) 146

დ) 116

2. ამოიცანი კანონზომიერება და გააგრძელე ორი წევრით მიმდევრობა 400, 390, 380, ___, ___

ა) 370, 360

ბ) 360, 350

გ) 370, 380

დ) 390, 380

3. რომელი სიტყვიერი ჩანაწერი შეესაბამება რიცხვს 809?

ა) რვაას ცხრამეტი

ბ) ოთხმოცდაცხრა

გ) რვაას ცხრა

დ) რვაას ოთხმოცდაცხრა

4. დაწერე სიტყვიერად რიცხვი 715.

პასუხი: _____

5. დაწერე რიცხვი „ექვსას ორმოცდაცხრამეტი“ ციფრების გამოყენებით

პასუხი: _____

6. რიცხვით ღერძზე მონიშნულია რამდენიმე წერტილი. იპოვე, რომელ რიცხვებს შეესაბამება M, N, P წერტილები:



ა) 101, 111, 121

ბ) 150, 250,350

გ) 105, 205, 305

დ) 105, 115, 125

7. რა რიცხვი მიიღება 399 -ის ათეულებამდე დამრგვალებით?

ა) 300

ბ) 400

გ) 390

დ) 395

8. მიმდევრობა პირველი წევრიდან დაწყებული ჯერ ზრდადია, შემდეგ კი კლებადი და ასე იცვლება კანონზომიერად. იპოვე წესი და გააგრძელე მიმდევრობა ორი წევრით: 100, 105, 110, 108, 106, 111, ___, ___

ა) 109, 114

ბ) 109, 107

გ) 116, 121

დ) 116, 114

9. ჩაწერე რიცხვი 790 სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით.

ა) 700 + 80 + 10

ბ) 700 + 90

გ) 790 + 0 + 0

დ) 70 + 900

10. **ამოიცანი კანონზომიერება და იპოვე გამოტოვებული რიცხვი მიმდევრობაში:**
215, ___, 235, 245

ა) 225

ბ) 220

გ) 230

დ) 205

11. **რიცხვში 498 არის 4 ასეული. კიდევ რამდენი ათეული და ერთეულია?**

პასუხი:

ათეული: _____

ერთეული: _____

12. **ჩაწერე სიტყვიერად ისეთი სამნიშნა რიცხვი, რომელშიც ასეულების აღმნიშველი ციფრია 7, ათეულების - 0, ერთეულების კი 6.**

პასუხი: _____

13. **ჩამოთვლილთაგან რომელია უდიდესი რიცხვი?**

ა) 215

ბ) 251

გ) 125

დ) 205

14. **დააკვირდი რიცხვთა ღერძს და ჩაწერე ოთხკუთხედებში შესაბამისი რიცხვები:**



15. **დაამრგვალე რიცხვი 274 უახლოეს ასეულამდე.**

პასუხი: _____

16. ჩაწერე სათანრიგო შესაკრებების სახით რიცხვი 408:

პასუხი: _____

17. რომელია რიცხვი 318-ის სიტყვიერი ჩანაწერი?

ა) სამასი ათი რვა

ბ) სამას რვა

გ) სამას თვრამეტი

დ) სამას ათრვა

18. რიცხვთა ღერძზე A წერტილიდან გადაზომილია ოთხი ტოლი მონაკვეთი. რა რიცხვებს შეესაბამება A, B, C, D წერტილები რიცხვით ღერძზე?

ა) 100, 200, 400, 500

ბ) 300, 400, 500, 550

გ) 200, 300, 400, 500

დ) 250, 350, 450, 550

19. დაალაგე რიცხვები 412, 389, 503, 476 ზრდადობის მიხედვით:

პასუხი: _____

20. გიორგიმ ციფრების საშუალებით ჩაწერა უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომლის ყველა ციფრი განსხვავებულია და კენტია. რომელია სწორი?

ა) შუა ციფრი უდიდესია

ბ) ბოლო ციფრი უმცირესია

გ) ყოველი მომდევნო ციფრი წინაზე 2-ით ნაკლებია

დ) ყოველი მომდევნო ციფრი წინაზე 2-ით მეტია